ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4168687

ნომერი: AR1628621

თარიღი : 06.09.2018

გაცემის თარიღი : 13.09.2018

გაცნობის თარიღი : 13.09.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კვალი , N 9-11 , გამზირი რუსთაველი , N 29 , ქუჩა თაბუკაშვილი (ძნელაძე/პეტრიწი) N48, ქუჩა მ. მესხი N6 , ქუჩა რ. თაბუკაშვილი (ძნელაძე) N50-52;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით კობახიძე პ/ნ 01024035335
- ურბნისის ქ. #7

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1670216
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 30.12.2014

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ საკითხის შესწავლისას, თქვენს მიერ წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. განმცხადებლის უფლებამოსილება არ დგინდება. წარმოსადგენია უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. იპოთეკარის თანხმობაც წარმოსადგენია. ამასთან, ამონაწერში, 36 და 185 კვ.მ მიწის ნაკვეთების მიმართ ფიქსირდება შეზღუდვა და თუ აღნიშნულ ნაწილებს ეხება, საჭიროა შეზღუდვის მოხსნა.
2. წარმოდგენილ იქნას განახლებული ფოტოფიქსაცია სხვადასხვა რაკურსიდან (შორი და ახლო) ზედამხედველობის აქტში დაფიქსირებული ხარვეზების გათვალისწინებით;
3. წარმოდგენილ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის განახლებული პოზიცია უარის ან სამშენებლო დარღვევის ცნობის შესახებ;
4. წარმოდგენილ იქნას არსებული სიტუაციის გათვალისწინებით საპროექტო დოკუმენტაცია (გეგმები, ჭრილები, ფასადები). ამასთანავე წარმოდგენილ იქნას ელექტრონული ვერსია არსებული შენობის საანგარიშო კ1, კ2 და კ3 კროკების ჩვენებით ერთიანი საკადასტრო ერთეულის გათვალისწინებით;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.